აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 15

01/09/2020 **ქ. ბათუმი**

ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ11 “ ქვეპუნქტის, 39-ე, მე-40 მუხლების, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 11/08/2020 წლის №05/2326 წერილის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1.აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებისათვის ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლება მიენიჭოს:

ა) სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტს, მისამართი: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქუჩა №102;

ბ) შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“ მისამართი: ქ. ბათუმი, ნ. ჯაყელის ქუჩა №44;

2. შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის მიერ უსკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილ პარტიულ სიას, უნდა ერთოდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის თითოეული კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა.

3. პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენის შემთხვევაში, წარდგენილი უნდა იქნეს კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა.

4. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად ამომრჩეველთა 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიასთან ერთად უნდა წარუდგინოს ცნობა კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს ნარკოლოგიური შემოწმების გავლის უფლება აქვთ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ნებისმიერ დაწესებულებაში.

6. დაევალოთ:

ა) საარჩევნო პროცესების მართვის განყოფილებას (გ. რიჟვაძეს) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებებისათვის და საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გაცნობა;

ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას (ნ. ნაკაშიძე) ამ განკარგულების საინფორმაციო საშუალებებით გამოქვეყნება.

7. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

8. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე

სოფიო კახაძე
კომისიის მდივანი